ხაშურის მოამბე

№3 (285) 15 თებერვალი, ორშაბათი, 2021 წელი

შიდა ქართლის მხარეს ახალი გუბერნატორი ჰყავს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული პოლიტიკისა და კოორდინაციის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ანანიაშვილმა შიდა ქართლის ახალი სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მერებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს, დეპუტატებსა და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს წარუდგინა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა რეგიონში არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციის მნიშვნელობას და დღის წესრიგში მდგარი საკითხების დროულ და ეფექტურ გადაწყვეტას.

„შიდა ქართლის რეგიონში დღეს წარვადგინეთ ახალი გუბერნატორი, მამუკა საღარეიშვილი. სამხარეო ადმინისტრაციაში ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ვიმსჯელეთ ყველა იმ საკითხზე, რაც შიდა ქართლისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა პრიორიტეტული. შევეხეთ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის პრობლემებს და დევნილთა საკითხებს. ერთობლივი მუშაობის შედეგად აუცილებლად გადავჭრით ყველა იმ საკითხს, რაც პანდემიამ გამოიწვია და გაორმაგებული ძალებით განვაგრძობთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, განათლებისა თუ სოციალური მიმართულებების გაძლიერებას“ - აღნიშნა ანანიაშვილმა.

„პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ქვეყნის პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის. ჩემთვის დიდი პატივია და ამავადროულად, დიდი პასუხისმგებლობა, ვემსახურო შიდა ქართლის რეგიონს. ჩვენი მიზანია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით განვახორციელოთ დაგეგმილი პროექტები. ჩვენთვის პრიორიტეტული იქნება სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა რეგიონში.“ - აღნიშნა რწმუნებულმა.

„შიდა ქართლის რეგიონის ახალი რწმუნებული არის საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური კადრი, რომელიც რეგიონს კარგად იცნობს თავისი წინა სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება წარმატებული გუბერნატორი შიდა ქართლისთვის და რა თქმა უნდა, ჩვენ

გუნდურობის პრინციპით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ რეგიონისთვის.“ - აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

მამუკა საღარეიშვილი 2005 წლიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იგი 2015 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის აგვისტომდე შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ხოლო შემდეგ – შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი იყო. 2018 წლის სექტემბრიდან იყო თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2020 წლის აპრილიდან – სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე.

ხაშურში იუსტიციის სახლის მშენებლობა დაიწყო

იუსტიციის სახლი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების უმრავლესობაა მოქცეული.

იუსტიციის სახლი მოქალაქეებს აწვდის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის ოთხასზე მეტ სერვისს.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში იუსტიციის სახლის სერვისების მიღება მოქალაქეებს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ სივრცეში უწევდათ.

იუსტიციის სახლის მშენებლობის პროექტის დასრულების შემდეგ, მოქალაქეები სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებს უფრო კომფორტულ გარემოში მიიღებენ.

როგორც ჩვენთან საუბარში, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა გიორგი პაპიაშვილმა აღნიშნა, სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია “ალიანსი”. სახელშეკრულებო ღირებულება 4 284 952 ლარია, გეგმის მიხედვით, სამუშაოები 2022 წლის ზაფხულში დასრულდება.

“ივერიის” სტადიონის მშენებლობა სავარაუდოდ, მაისის თვეში დასრულდება

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტადიონის ტრიბუნის მოწყობა.

მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სტადიონი, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში პროფესიული სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 6 183 407 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #1

2021 წლის 18 იანვარი, ხაშური

ხაშურში წმინდა ნინოს ჭუჩის მიმდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისათვის წმინდა ნინოს ჭუჩის IV ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომართვების საფუძველზე, რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა ხაშურში წმინდა ნინოს ჭუჩის მიმდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტისათვის წმინდა ნინოს ჭუჩის IV ჩიხის სახელის მინიჭების თაობაზე. მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, კანონით დადგენილი ვადით გამოქვეყნებული იყო საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და რაიმე სახის შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსახელო გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭება. ზემოხსენებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიასთან.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ ხაშურში წმინდა ნინოს ჭუჩის მიმდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს (მდებარეს: ხაშურში, „შინდარის“ დასახლებაში, დასავლეთით ესაზღვრება სარაჯიშვილის ქუჩა, აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან - მოსახლეობა, ჩიხის კოორდინატებია: X-382229 -4651481, X-382520 -4651229) მიენიჭოს წმინდა ნინოს ჭუჩის IV ჩიხის სახელი.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ეცნობოს სახელმწიფო სერვისების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
4. განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ–გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება #9

2021 წლის 2 თებერვალი, ხაშური

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო- საგანმანათლებლო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების პედაგოგთა განაკვეთის, საგაკვეთილო საათებისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესის შესახებ

2021 წლიდან ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო– საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში მოსწავლეთა შენატანის გაუქმებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მათი ნაწილობრივი დაფინანსებიდან სრულ დაფინანსებაზე გადასვლის გათვალისწინებით, აგრეთვე, სამუსიკო სკოლების გაერთიანების მომართვის (შემოსავალი №292 13/01/2021) საფუძველზე, საჭიროა დამტკიცდეს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო– საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანების პედაგოგთა განაკვეთის, საგაკვეთილო საათებისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო– საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანების პედაგოგთა განაკვეთის, საგაკვეთილო საათებისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი:

ა) პედაგოგთა განაკვეთი განისაზღვროს 18 საგაკვეთილო საათით კვირაში;

ბ) პედაგოგთა საგაკვეთილო საათის ღირებულება განისაზღვროს შემდეგი განათლების მიხედვით:

1) სპეციალური უმაღლესი სახელოვნებო (კონსერვატორია) განათლების მქონე პედაგოგის 1 საათი - 14,61 ლარი, 1 განაკვეთი -263 ლარი;

2) სხვა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგის 1 საათი - 12,72 ლარი, 1 განაკვეთი - 229 ლარი;

3) პროფესიული განათლების მქონე პედაგოგის 1 საათი - 12,11 ლარი, 1 განაკვეთი - 218 ლარი.

გ) პედაგოგთა შრომითი დატვირთვა განისაზღვროს არა უმეტეს 40 საგაკვეთილო საათისა კვირაში.

დ) მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს არა უმეტეს 465 ბავშვისა 2021 წლის განმავლობაში.

2. განკარგულება ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანებას (ს/კ 443864267), ეცნობოს მერიის საბიუჯეტო სამსახურს.

4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ–გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება # 5

2021 წლის 2 თებერვალი, ხაშური

„სოფელ დუმაცხოვში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვის“ თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობისათვის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება სოფელ დუმაცხოვში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულებაა 1 070 275.00 ლარი (თანადაფინანსებით, 95 % სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები; 5 % ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით), ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 2021 წელი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებიდან არაუმეტეს 535 138.00 ლარის მოცულობის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპი - 2022 წელი დანარჩენი თანხის ფარგლებში). ვინაიდან, აღნიშნული თანხა აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს სოფელ დუმაცხოვში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, საერთო ღირებულებით 1 070 275.00 (ერთიმილიონ სამოცდაათიათას ორასსამოცდათხუთმეტი) ლარი, რომელიც აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარცელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება # 6

2021 წლის 2 თებერვალი, ხაშური

„სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვის“ თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობისათვის პირობების გაუმჯობესების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულებაა 2 493 371.00 ლარი (თანადაფინანსებით, 95 % სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები; 5 % ადგილობრივი თვითმართველობის ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით), ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 2021 წელი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებიდან არაუმეტეს 1 184 739.00 ლარის მოცულობის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპი - 2022 წელი დანარჩენი თანხის ფარგლებში). ვინაიდან, აღნიშნული თანხა აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს სოფელ ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, საერთო ღირებულებით 2 493 371.00 (ორიმილიონ ოთხასოთხმოცდაცამეტიათას სამასსამოცდათერთმეტი) ლარი, რომელიც აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარცელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

საქართველოს მთავრობის დადგენილება #39

2021 წლის 29 იანვარი\, ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევა განხორციელდეს 2021 წლის პირველი თებერვლიდან 2021 წლის 30 ივნისამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 585-ით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1333-ით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 150-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს (შემდგომში – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

http://www.matsne.gov.ge 12026002010003022591

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება

მუნიციპალიტეტის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან სავარაუდოდ თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის პირველი თებერვლიდან.

პრემიერ - მინისტრი გიორგი გახარია

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება

№ 185 01 / თებერვალი / 2021 წ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა 2 0 2 1 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20-ე,21–ე,22–ე,23–ე,24–ე,25-ე,28–ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის № 39 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;

2. სამხედრო ძალებში,მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის № 39 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტის შესაბამისად აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

ზვიად ქურდაძე – ხაშური ს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის № 39 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 30 ივნისამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებით საქართველოს კანონის “სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” 30-ე მუხლის პირველი პუნქტის “ლ” ქვეპუნქტით (მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში) გათვალისწინებული საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში, ვალდებულნი არიან საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

9. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

10. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე

<u>წარმატების რეცეპტი</u>

სალომე გოგინაშვილის გზა : ხაშური-ჰამბურგი-ხაშური

ორიოდ წლის წინ, ხაშურში, ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ ტურიზმის განვითარების საკითხებზე ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების მფლობელთათვის ჩატარებულ ტრენინგზე თარჯიმნად მიმიწვიეს. ტრენერის შეთავაზებას - სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრების მოსაზიდად საოჯახო სასტუმროს მეპატრონეებს მენიუ უცხოური კერძებითაც გაემრავალფეროვნებინათ,მედგარი წინააღმდეგობა შეხვდა. - ხაჭაპურსაც კარგად შეჭამენ! რას ამბობ,ჩვენს ფხალს, საცივს, ხარჩოს რა ჯობია! არც ცხელი მჭადი აწყენთ! - მესმოდა დამსწრეთა შეძახილები, რაც საბოლოოდ ორიოდ სიტყვაში გავაერთიანე - ადგილობრივები ქართული სამზარეულოს შეთავაზებას ანიჭებენ უდიდეს უპირატესობას - მეთქი. ტრენერმა გაკვირვებით გადმომხედა, მაგრამ, ალბათ იფიქრა, მე ჩემი მითქვამს, გადაწყვეტილება კი თქვენზეაო და შემდეგ თემაზე გადავიდა.

ამ ტრენინგიდან ,არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ხაშურში იაპონური სამზარეულოს დელიკატესი - სუში გამოჩნდა - საქართველოს რეგიონებში არამხოლოდ ნაკლებად პოპულარული, არამედ თითქმის უცნობი კერძი, რომელმაც გურმანების გაკვირვება და სიახლეების მოყვარულთა დაინტერესება ერთდროულად შეძლო და სამზარეულოს შესახებ ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებსაც შეუტია.

სად ხაშური და სად იაპონიაო, იკითხავენ სკეპტიკოსები, თუმცა, როცა სამყაროს ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ხმის მიწვდენა უკვე ერთი წუთის საქმეა, ხაშურში გემრიელი სუშის დაგემოვნებაც ჩვეულებრივ მოვლენებს უნდა მივაწეროთ. ჩვეულებრივი ამბები კი მხოლოდ ერთი შეხედვითაა ჩვეულებრივი და არასდროს ხდება დიდი შრომის,მონდომების და ცნობისწადილის გარეშე.

უბრალოდ სალომე

არ ვიცი, გერმანიაში წასვლამდე რა რეაგირება მექნებოდა უცხოელი ტრენერის შეთავაზებაზე სამზარეულოს გამრავალფეროვნების შესახებ, მაშინ ხომ არც ერთი უცხო კერძი არ გამესინჯა და გემოს ძიების ხიბლიც არ გამეგო - ამბობს სალომე გოგინაშვილი - ახალგაზრდა, წარმატებული ქალი, რომელმაც სუშის მომზადება გერმანიაში ცხოვრებისას ისწავლა და ახლა გადაწყვიტა მის მშობლიურ ქალაქში უცხო გემო და ახალი კულტურა დაამკვიდროს. სალომეს ცხოვრებაში ახალი გემოების აღმოჩენა მის ემიგრაციულ გამოცდილებას უკავშირდება და წარუშლელი კვალიც აქვს დატოვებული. ახალგაზრდა ქალმა სწორედ ემიგრაციაში შენიშნა, რომ დილით სახლიდან გამოსული ადამიანებისთვის სულ ერთი არ არის, რას შეჭამენ მთელი დღის განმავლობაში. შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეს დაკვირვება მის სამშობლოზეც რელევანტური იყო. ახალი გემოს შეგრძნება არაფრით ჩამოუვარდება სხვა ცხოვრებისეულ გამოცდილებებს - ასე სჯერა სალომე გოგინაშვილს და ცდილობს, ამ მიმართულებითაც გაამდიდროს მისი ისედაც საინტერესო ცხოვრება.

ხაშური-ჰამბურგი

მას შემდეგ, რაც ხაშურში სკოლა დაასრულა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მიიღო განათლება, სალომე გოგინაშვილი უაირ პროგრამით გერმანიაში გაემგზავრა. ერთწლიანი პროგრამა გერმანელ ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობას და ენის შესწავლას მოიცავდა, თუმცა, სალომემ გაცილებით მეტი შეძლო. ყველაფერი კი უბრალო შემთხვევით დაიწყო: მასპინძელმა ქალმა, რომელიც ჰამბურგში მოსამართლედ მუშაობდა და წარმატებულ ადამიანად მიიჩნეოდა, სალომეს გაუმხილა, როგორ ვარჯიშობდა ყოველ დილას, როგორ ბრუნდებოდა მერე შინ, წესრიგდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდა სამსახურში. გერმანელი მოსამართლის ცხოვრების წესი მისაბაძად არცთუ რთული ჩანდა. ამასთან, რაც გერმანიაში ახლადჩასულისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ფინანსებს არ მოითხოვდა და მხოლოდ ნებისყოფისა და მონდომების ხარჯზე მიიღწეოდა. ასე დაიწყო სალომემ ვარჯიში ჰამბურგის უნივერსიტეტის ეზოში - მის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს. (სხვათა შორის, რამდენიმე ბინის გამოცვლის შემდგომ, სალომე დღესაც იმავე მისამართზე და იმავე ოთახში ცხოვრობს, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა) უნივერსიტეტი იმდენად მიმზიდველად გამოიყურებოდა და ისე აღვიძებდა ცნობისმოყვარეობას მისი კედლების შიგნით, აუდიტორიებში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომ სალომემ საუნივერსიტეტო აპლიკაციის შევსება გადაწყვიტა და არსებული შვიდი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი - ჰამბურგის უნივერსიტეტი აირჩია. „გადავწყვიტე, ან ჩემი ოცნება ახდებოდა და ჰამბურგში ვისწავლიდი, ან უკან სამშობლოში დავბრუნდებოდი, სადაც ჩემი ოჯახი ყოველთვის მზად იყო მხარი დაეჭირა ჩემი ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის.“

ოცნება იოლად ასახდენი არ ჩანდა. მიუხედავად იმისა,რომ სალომე თბილისის უნივერსიტეტშიც წარმატებულ სტუდენტად ითვლებოდა და - აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელი მაღალი ჰქონდა,ძალიან დიდი კონკურენციისთვის უნდა გაეძლო. ჰამბურგის უნივერსიტეტში, პოლიტიკური მეცნიერებების დასაუფლებლად უცხოელი აპლიკანტებისთვის ცალკე კონკურსი ტარდებოდა, სადაც სტუდენტობის მაძიებლები მთელი მსოფლიოდან იყრიდნენ თავს. მათთან კონკურენცია იოლი არ იყო. არ გვინდა იმედები გაგიცრუოთ, მაგრამ ნამდვილად ვერაფერს დაგპირდებით ამხელა კონკურენციის პირობებშიო, უთხრა სალომეს ადამიანმა, რომელმაც ცოტა ხნის შემდგომ უნივერსიტეტში წარმატებით ჩარიცხვა მიულოცა. ოცნება ახდა. თუმცა, მხოლოდ დიდი შრომის და მონდომების შედეგად. ამიტომ, სალომეს სჯერა, რომ ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს ყველაფრის მიღწევა შეიძლება. „ჩემი დის ახლო მეგობარი ცხოვრობდა გერმანიაში, რომელიც ჩემთვისაც და ჩემი ოჯახისთვისაც დიდი იმედი იყო. მარიანა ხშირად მირეკავდა და მეკითხებოდა: ერთხელ როგორ არ დაგჭირდი, ან გზა არასდროს აგებნა, ან სხვა რამ შეკითხვა რატომ არ გაგიჩნდაო. სინამდვილეში, გზაც ბევრჯერ მიკითხავს და დახმარებაც არაერთგზის მიმიღია. მინდა, ყველას ვურჩიო: არ მოგერიდოთ უცხო ადამიანისთვის შეკითხვის დასმა, მისგან რჩევის მიღება, არ მოგერიდოთ დაკაკუნება, რადგან თუ დააკაკუნებთ, კარი აუცილებლად გაიღება. ხშირად, როცა ახალგაზრდები უნივერსიტეტში საბუთების შესატანად მიდიან, ენის ბარიერის გამო მარტო მისვლა ერიდებათ და ენის კარგ მცოდნეებს სთხოვენ დახმარებას. მიდით მარტო, დამოუკიდებლად, აუხსენით, რომ ენა ჯერ კარგად არ იცით, მაგრამ სწავლობთ, მონდომება და მოტივაცია გამოხატეთ და ყველა საქმე გამოვა.“

ემიგრაციამ სალომეს ასწავლა, რომ ამქვეყნად საშიში არაფერია. უცხოეთში ხანგრძლივად ცხოვრებამ კიდევ უფრო მკაფიო გახადა, რაც ისედაც ყოველთვის იცოდა - ნებისმიერ ადამიანში მთავარია ღირსება, სიკეთე, პატიოსნება. „ერთხელ, ახლადჩასული, მასპინძელ ოჯახთან ერთად რადიოს ვუსმენდი, სადაც გადმოსცემდნენ, თუ როგორ გაძარცვა ერთმა ქართველმა მეორე ქართველის მაღაზია ჰამბურგში. მაშინ ენა ჯერ კიდევ მიჭირდა და დეტალები კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ მახსოვს, მასპინძელმა გაზეთი მომაწოდა, სადაც იგივე ამბავი ეწერა და წაიხუმრა: ცოტა უცნაური ქვეყანა გაქვთო.“ სალომე მიხვდა, რომ მისი პირველი წელი გერმანიაში იყო შანსი, რომელიც შეეძლო განვითარებისთვის გამოეყენებინა, ეპოვა საკუთარი თავი ახალ რეალობაში და დაემტკიცებინა, რომ უცხოეთში არც გაჭირვებას გაჰქცევია, არც თავშესაფრის მისაღებად ჩასულა და ისე უნდა მიეღოთ, როგორც თანასწორი. მოახერხა კიდეც. მისი მასპინძელი ოჯახი, რომელიც უსაფრთხოებას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა და სამოგზაუროდ მხოლოდ სკანდინავიის უაღრესად მოწესრიგებულ ქვეყნებს, ან ავსტრიას ირჩევდა, სხვა ქვეყნებს კი, მათ შორის ტურისტების სამოთხეს - იტალიასაც ამრეზით უყურებდა, საქართველოთი დაინტერესდა და იმოგზაურა კიდეც. „ამაში, სავარაუდოდ, ჩემი წვლილიცაა, თუმცა, არაფერი განსაკუთრებული არ გამიკეთებია. ვიქცეოდი ძალდაუტანებლად. ისე, როგორც მჩვეოდა. უბრალოდ, ოჯახმა იოლად შენიშნა, რომ მე და მათ უამრავი საერთო ღირებულება გვაერთიანებდა - სამშობლოს სიყვარული, ოჯახის პატივისცემა... ვუყვებოდი კიდეც საქართველოზე. გარკვეული ინფორმაცია ისედაც ჰქონდათ, მაგრამ დიდი ინტერესით მისმენდნენ ხოლმე. ამიტომ სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც აქედან ჩასული ადამიანი ან კრიმინალია, ან უკიდურესად გაჭირვებული, ანდა ანგარიშიც კი უჭირს, ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად დაიმსხვრა.“

ემიგრაციაში სამშობლოც მეტად გიყვარდება, - ამბობს სალომე, - არ ყოფილა დღე გერმანიაში, რომ ჩემი ქვეყნის ამბები არ გამეგო, არ მცოდნოდა, რა ხდება პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში. თუმცა, ემიგრაცია არ არის ცალმხრივი ნოსტალგია. ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები ჩვენს შეუღლებამდე დიდი ხანით ადრე მეგობრობდნენ. არაერთხელ მომნატრებია უცხოეთში მათი ურთიერთობა, დაბადების დღეების თუ სხვა დღესასწაულების ჩვენებური აღნიშვნა. საქართველოში ჩამოსვლისას სატელეფონო ზარზე პასუხის გაცემაც აღარ მინდოდა ხოლმე, რომ ჩემს ახლობელ ადამიანებთან ყოფნის სისავსეს არაფერი დაკლებოდა, მაგრამ აქ უკვე იქაურობა გენატრება - ადგილი, სადაც რეალიზდი, პიროვნებად ჩამოყალიბდი. წარმატება ხომ ყველგან მოვა, სადაც საკუთარ თავს აღმოაჩენ. უბრალოდ, ხშირად ამისი გაცნობიერება გვიჭირს. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მიწევს ხოლმე ქართველ დაკავებულებთან თარჯიმნად მუშაობა. მართალია, მე კომუნიკაციის უფლება არ მაქვს და მხოლოდ ადვოკატის ნათქვამის თარგმნა მევალება, მაგრამ ხანდახან ხდება, რომ შეშინებული დაკავებულის დასაწყნარებლად ადვიკატებს მასთან გასაუბრება უთხოვიათ. საქართველოშიც შემხვდა ერთ-ერთი ასე გაცნობილი ახალგაზრდა, რომელსაც, მისივე თქმით, გერმანიაში „უკეთესი ცხოვრების“ მოლოდინი არ გაუმართლდა. თურმე, სამშობლოში საკუთარი სასტუმრო ჰქონია ერთ-ერთ პრესტიჟულ კურორტზე. ხანდახან ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი აქვთ, თვლიან, რომ არაფერი დაშავდება, თუ უცხოეთში მდიდარ ხალხს რამეს გამოგლეჯენ. ასეთ უცნაურად ბოროტ გზას ირჩევენ ხოლმე, სამწუხაროდ.

ჰამბურგი-ხაშური

პანდემიამ სალომეს საქართველოში ყოფნა იმდენად გაახანგრძლივა, რომ თვითონ და მისი მეუღლე გურამ მელიქიშვილი ჰამბურგიდან ხაშურში საცხოვრებლად გადმოსვლაზეც სერიოზულად ფიქრობენ. მითუმეტეს, აქედან ჰამბურგში დისტანციურად საქმიანობა უკვე ის მოცემულობაა, რომელსაც წყვილი უკვე დიდი ხანია შეგუებულია.

პანდემიის პირობებში, სალომემ ჰამბურგში აზიური სამზარეულოს მიმართულებით გავლილი კულინარიის კურსიც გაიხსენა და ხაშურში, მისი ოჯახის კუთვნილ პატარა კაფეში სუშის მომზადება დაიწყო. რეგიონებში ჯერ არდამკვიდრებული და ხაშურისთვისაც ახალი ეს კერძი სალომეს საყვარელი პროდუქტია. ფანქეიქებსაც ამზადებს, პიცის და იტალიური პასტის ორგვარი წესით მომზადებაც მოსინჯა. ცდილობს, სივრცე, რომლის დიასახლისიც თვითონაა, კულტურათა გაზიარების, ახალი შეგრძნებების გამოცდის, განსხვავებული გემოვნების ადამიანების თავშეყრის ადგილად გადაიქცეს. მას ხომ ემიგრაციამ ასწავლა - თუ იშრომებ, მოინდომებ და ეცდები - წარმატება აუცილებლად მოვა.

ნინო სუხიაშვილი

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020წ. 2021 წ.#1,2)

მიხეილ და ნუგზარ რეხვიაშვილების ავტორობით, 2000 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიაშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამია: „მეფემ და ჯაყელმა დიდი შეცდომა დაუშვეს, რომ თავიანთი მცირერიცხოვანი ლაშქარი ტაშისკრის ვიწროებიდან გამოიყვანეს და მტერს გაშლილ ველზე, გორის მიდამოებში, შინდარსა და ახალდაბასთან შეებრძოლენ”.

ავტორები იქვე მიუთითებენ: „არღუნ ნოინი სურამს მოვიდა, აქედან 2000 მეომარი აარჩია და წინამბრძოლად ტაშისკრის ხეობისკენ წარგზავნა, თვითონ ძირითადი ძალებით შინდარას მაღლობზე დაბანაკდა”.

მ. და ნ. რეხვიაშვილები, ბრძოლის მიმდინარეობის აღწერისას, აღნიშნავენ, თუ როგორ გაიმარჯვეს პირველ შეტაკებაში ქართველებმა და ამის შემდეგ სარგის ჯაყელი როგორ დაიძრა შინდარასაკენ, როგორ აიყარნენ „შინდარას გორაზე” დაბანაკებული მონღოლები გასაქცევად და ა.შ.

აქაც ავტორები გარკვევით მიუთითებენ ბრძოლის ადგილად გორის მიდამოებს, გორის შინდარას. ამ შემთხვევაშიც ავტორები, რატომღაც, ვერ იაზრებენ მომხდარი ბრძოლის ადგილმდებარეობას და ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთხელ დამკვიდრებულ აზრს მიუყვებიან.

ასევე მცდარად არის გაგებული ბრძოლის ადგილი ვახტანგ ჭელიძის ცნობილ „ქართლის ცხოვრების ქრონიკების” მეოთხე წიგნში. აქაც არღუნი სურამში დგას,პირველი შებრძოლება გაიმართა „ახალდაბის ხიდი რომ გაიარეს და გაშლილზე გავიდნენ”. დამარცხებული მონღოლები ბრძოლის ველიდან უკან მიდიან და არღუნის ძირითად ლაშქარს უერთდებიან, ალბათ, სურამში, რადგან ავტორი აღარაფერს ამბობს, არღუნის სურამში დაბანაკების შემდეგ,მისი გადაადგილების შესახებ. რაც შეეხება მეორე ბრძოლის ადგილს, ვ. ჭელიძე წერს: „როგორც ითქვა, ეს უკვე გაშლილ ველზე ხდება, ტაშისკრიდან მოშორებით, გორის შინდარასკენ”.

ცალკე უნდა შევეხოთ პროფ. ლ. სანიკიძის დამოკიდებულებას აღნიშნული ბრძოლის ადგილთან დაკავშირებით. მას „უქარქაშო ხმლების” მეორე წიგნში აღნიშნული ბრძოლა გადმოცემული აქვს ქვეთავში „ტაშისკართან”. მისი მიხედვით, არღუნი „სურამს მოვიდა. აქედან 6000 მეომარი წინამბრძოლად აარჩია და ტაშისკრის ხეობისაკენ წარგზავნა. თვითონ შინდარას გადაინაცვლა და იქვე მაღლობზე დაიბანაკა ძირითადი ლაშქრით”.

პირველი შებრძოლება აქაც გაშლილ მინდორზე ხდება,როგორც ჩანს ტაშისკართან, რადგან როცა მესხები „...გულდანდობილად „განვიდეს სივიწროისაგან”, ერთბაშად გაშლილ მინდორზე გადააწყდნენ საომარი წყობით მომქროლავ თათართა წინაკერძს.”

დამარცხებული თათრები არღუნ ნოინის ბანაკში მიდიან შინდარის გორაზე. როგორც ჩანს,აქვე ხდება მეორე ბრძოლა,რომელშიც მარცხდებიან ქართველები და ახალდაბის ხიდის გავლით მიდიან აწყურში, სადაც დავით ულუ დგას.

პროფ. ლ. სანიკიძე, როგორც ვხედავთ, სავსებით სამართლიანად მიუთითებს შინდარის გორაზე, რომ აქვე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლაც, მაგრამ არ აკონკრეტებს, სად არის შინდარა.

აღნიშნულ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება მიაქცია მწერალმა გ. ზედგენიძემ თავის წერილში „ქართლის ცხოვრების” ორიოდე ადგილის გაგებისათვის,” რომელიც გამოქვეყნდა 1972 წელს კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის” (წიგნი XVI-XVII).

გ ზედგენიძე,ჟამთააღმწერელზე დაყრდნობით,ზედმიწევნით ზუსტად გადმოგვცემს არა მარტო ბრძოლის მიმდინარეობას, არამედ ზუსტად განსაზღვრავს ამ ბრძოლის ადგილმდებარეობასაც.

„ჟამთააღმწერელს,– წერს გ.ზედგენიძე,– მოქმედების ადგილები მისთვის ჩვეული სიზუსტით აქვს გადმოცემული: სურამს მოსულ არღუნ ნოინს ძირითადი ლაშქრის სადგომად შინდარა აურჩევია, მისი მეწინავე ლაშქარი კი ტაშისკარს მისულა და მცირე მდინარე შოლაზე დამდგარა.

სურამის ახლოს „შინდარა” სახელწოდების მქონე პუნქტი ახლაც არსებობს, იგი სურამის ბოლოზეა და ამჟამად ქალაქ ხაშურის შემადგენლობაშია შესული.

„შოლაც” დაცულია, ტაშისკარსა და ქვიშხეთს შორის ჩამავალ პატარა მდინარეს ეწოდება (მდ. შოლა ქვიშხეთის აღმოსავლეთით ჩამოედინება და არა ტაშისკარსა და ქვიშხეთს შუა – თ. ლ.)

ახალდაბის ხიდსა და ხეობის ვიწროებს გასული მეფის ლაშქრის მეწინავენი ტაშისკარის ახლოს, შოლაზე შებმიან მონღოლთა მეწინავეებს. დამარცხებულ მონღოლთაგან, ვინც კი სიკვდილს გადარჩენილან, არღუნის „რაზმსა შინა” შეხვეწილან, მაგრამ სად? რაკი არღუნ ნოინი სურამის ბოლოს შინდარას იდგა, ცხადია დამარცხებულნიც აქვე უნდა მისვლოდნენ. „ქართლის ცხოვრების” დაბეჭდილ ტექსტში კი ნათქვამია: თათარ მეწინავეთაგან „მცირედნიღა განერნეს და შეიხვეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შინდარას გორისას”.

გ. ზედგენიძეს მიაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრების” შესაბამის ტექსტში „შინდარას გორისას” არ უნდა იყოს და უთუოდ გადამწერთა შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, ან უნდა იყოს „შინდარის გორას”... ან შემდეგ იქნა გადამწერთაგან მიმატებული „გორისას”. უფრო სავარაუდებელია პირველი, რადგან სურამის ბოლოს მდებარე შინდარას აღმოსავლეთით (დასავლეთით – თ. ლ.) მართალაც უდევს დიდი გორა, ისეთი ფრთხილი სარდალი, როგორადაც არღუნ ნიონი ჩანს, ბუნებრივია, უსაფრთხოების მიზნით, პირველ რიგში მას აირჩევდა ლაშქრის დასაბანაკებლად”.

გ. ზედგენიძის ამ წერილის შემდეგ, ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიის ამ ეპიზოდთან დაკავშირებით. სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხის მიმართ გარკვეული კორექტირება უნდა მომხდარიყო, რადგან სავსებით სწორად არის გაგებული ჟამთააღმწერლის თხზულების შესაბამისი ადგილი.

გ. ზედგენიძის წერილის გამოქვეყნების შემდეგ, აღნიშნული საკითხის შესახებ რამდენიმე სპეციალური ვრცელი ნარკვევიც გამოქვეყნდა, მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩებოდა.

1984 წელს, ხაშურის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია „შინდარა”, რომელშიც საუბარი იყო 1260 წლის აჯანყებულ ქართველებსა და მონღოლებს შორის გამართული ბრძოლის ადგილის გარკვევაზეც. ჟამთააღმწერლის შესაბამისი ტექსტის ვრცელი ანალიზის შემდეგ, აღვნიშნავდით, რომ ბრძოლა მოხდა ხაშურის მიდამოებში, კერძოდ, შინდარაში, რომელიც დღეს მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს.

1986 წელს ჟურნალ „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში” გამოქვეყნდა აგრეთვე ჩვენი წერილი „შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან”, რომელშიც ასევე ვრცლად ვეხებოდით აღნიშნული ბრძოლის ადგილმდებარეობას. ჟამთააღმწერელზე დაყრდნობით დავასკვნიდით, რომ ბრძოლა მოხდა ხაშურის სანახებში (შინდარა) და ვთვლიდით, რომ საკითხი გარკვეულად უნდა ჩათვლილიყო და დაეჭვება არ უნდა გამოწვია.

1990 წელს ხაშურის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდა მკვლევარ გ. იმერლიშვილის წერილი „შინდარის ბრძოლა”, რომელშიც ავტორი სამართლიანად აღნიშნავდა რომ „...მდ. შოლაზე დამარცხებულ მონღოლთა მეწინავეებს მესხები გორამდის ვერ გაედევნებოდნენ... მიგვაჩნია, რომ ეს ბრძოლა მომხდარიყო ჩვენს რაიონში – შინდარაში”.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი

ქართველი საზოგადოება ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა დიმიტრი ყიფიანის მიმართ. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობით არაერთი მკვლევარი იყო დაინტერესებული და ეს ინტერესი დღესაც გრძელდება. შექმნილია არაერთი ნაშრომი, მონოგრაფია. მარტო სახელების დასახელებაც საკმარისია, თუ როგორი რანგის მკვლევართა ინტერესის სფეროს წარმოადგენდა დიდი მამულიშვილი: არჩილ ჯორჯაძე, სიმონ ხუნდაძე, შალვა ჩხეტია... ბოლო პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. უთურაშვილის, თ. ჯოლოგუას, თ. მიქაძის კვლევები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თამაზ ჯოლოგუას საქმიანობა. მან შექმნა არაერთი პირველხარისხოვანი ნაშრომი თუ მონოგრაფია, უკვე გამოსცა დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ათტომეულის ხუთი ტომი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის მურად მთვარელიძის საქმიანობა დიმიტრი ყიფიანის შესწავლის საქმეში.

მკვლევარი დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებით გასული საუკუნის 80 - იანი წლების დასაწყისიდან ინტერესდება, როცა ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა მშვენიერი წერილები ქვიშხეთელი ყიფიანების შესახებ. შემდგომში ეს წერილები დაედო საფუძვლად მის წიგნს ,,ყიფიანები“ (2008 წ.). ამ წიგნს მოჰყვა ,,დიმიტრი ყიფიანი - ლიტერატორი“ (2018 წ.), რომელიც აღინიშნა დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიით. გასულ წლის ბოლოს, დღის სინათლე იხილა მურად მთვარელიძის ახალმა წიგნმა - ,,კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი“.

,,კაცი ხასიათისა - დიმიტრი ყიფიანი“ უფრო ბიოგრაფიული რომანის ჟანრს განეკუთვნება, შეიძლება დოკუმენტური პროზის ნიმუშადაც მივიჩნიოთ. მაგრამ მთავარი, რითაც ეს წიგნი იპყრობს ჩვენს ყურადღებას, არის ის, რომ იგი წარმოადგენს პირველ ცდას დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხატვრულად გააზრების თვალსაზრისით. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ - ავტორმა წარმატებით შეძლო დასახული მიზნის განხორციელება.

სარეცენზიო წიგნი 27 თავისაგან შედგება და თითოეული თავში უმთავრესად დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ერთი ამბავია გადმოცემული. ეს ამბები დიდი ინტერესით, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ასე, ამბებით (ეპიზოდებით) იკინძება დიდი მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომ შემდეგ, წიგნის ბოლო თავში - ,,დიმიტრის სახლის აივნიდან“, - ავტორმა დიდი ილია ჭავჭავაძის ცნობილი სიტყვები კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ დიმიტრი ყიფიანი იყო XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების არქიტექტორი, ხოლო ილიsა თაობა მისი კალატოზები.

წიგნის სათაურად ავტორს ილია ჭავჭავაძის სიტყვები აქვს გამოტანილი. დიდი ილია დიმიტრი ყიფიანზე ბრძანებდა: ,,იგი იყო გულთასრული კაცი... იგი იყი კაცი ხასიათისა... ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დიდი და ძვირფასი სიკეთე მარტო ჩვენს ძველებსღა მოსდევთ, და აი რას მივტირით, როცა იგინი მიდიან. არიან ბევრნი დიდ ხარისხოვანნიცა, მეცნიერნიცა, მოღვაწენიცა, მწერალნიცა, და არ არიან მხოლოდ ხასიათის კაცნი, კაცნი გულთასრულნი...“

ავტორი თითოეულ თავში მოთხრობილი ამბავით ცდილობს გვიჩვენოს დიმიტრის, როგორც ,,ხასიათის კაცის“ ბუნება, მისი სამყარო და ასე თავიდან თავში ქმნის მის სრულყოფილ პორტრეტს და მკითხველიც კარგად გრძნობს ილიას სიტყვებში გაცხადებულ სიმართლეს.

ყოველივე ამის გათვალიწინებით, ავტორს ნაჩვენები აქვს, რომ მხოლოდ ასეთ მამულიშვილებს ხელეწიფებოდათ გაეწიათ ქვეყნისათვის ის სამსახური, რაც დიმიტრი ყიფიანმა შეძლო.

ავტორი თხრობას ეგზარხოსისადმი დიმიტრის მიერ გაგზავნილი ცნობილი წერილის შექმნით იწყებს. ამის ფონზე ცოცხლდება ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლი, მისი აივნები, მიხაილოვოდ წოდებული ხაშური და მისი რკინიგზის სადგური, ძველი თბილისი... ავტორი ღრმა ემოციურობით გადმოგვცემს დიმიტრის ნაფიქრალ-ნააზრევს, მის განცდებს. დიმიტრი იხსენებს სტავროპოლში გადასახლებამდე განვლილ ცხოვრებას, აანალიზებს იმ მოვლენებს, რამაც მიიყვანა იგი გადასახლებამდე. ეს ყველაფერი დროის მცირე მონაკვეთში ხდება - ცნობილი წერილის დაწერიდან გაგზავნამდე. შემდეგი ამბები - აკაკის სტუმრობა ქვიშხეთში, დიმიტრის გადასახლება, სტავროპოლში ჩასვლა და სხვა ჩვეულებრივ, შესაბამის დროის მონაკვეთში ხდება, თუმცა აქაც არაერთი ამბავია ჩართული დიმიტრი ყიფიანი ცხოვრებიდან.



თითქმის ყველა ამბავი დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან გადმოცემულია წიგნის გმირის თანადროული საქართველოს ისტორიის გათვალიწინებით. ამის გათვალიწინებით მკითხველი არაერთ პირველხარისხოვან დოკუმენტს ეცნობა, რაც უფრო საინტერესოს ხდის წიგნს.

ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს დიმიტრი ყიფიანის როლზე წერა-კითხვის საზოგადოების, სათავადაზნაურო ბანკის, ქართული თეატრის აღდგენა-აღორძინებისა და სხვა ქართული ინსტიტუტების დაარსების საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი წიგნში XIX საუკუნის 80 - იანი წლების მოვლენებს და ამ მოვლენებისადმი დიმიტრის დამოკიდებულებას. ეს ის პერიოდია, როცა ქვეყანაში რეაქცია მძლავრობს და ქვეყნის წინაშე არაერთი პრობლემა დგას. ეს პრობლემები ეხება სახალხო განათლებას, ქართული ენის სწავლებას სახალხო სკოლებში და სხვა. გაჩაღებულია მიზანმიმართული ანტიქართული კამპანია... ამ წლებმა განსაკუთრებული გავლენა იქონია დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობაზე და შეამზადა ნიადაგი მისი მოწამეობრივი სიკვდილისა. ავტორი ნამდვილად დიდი დამაჯერებლობით გადმოგვცემს დიმიტრის სულიერ განწყობილებას.

მკითხველი დიმიტრის თანადროულ არაერთ ცნობილ პიროვნებას შეხვდება წიგნში. ნაჩვენებია დიმიტრის მათთან ურთიერთობა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დიმიტრისა და ილიას, დიმიტრისა და აკაკის და სხვათა ურთიერთობის ამბები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გრიგოლ ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის ურთიერთობა. ამ საკითხს ეძღვნება თავი - ,,არ მისცეთ ნიჭსა გზა ფართო“ და უნებურად გახსენდება გრიგოლ ორბელიანის ცნობილი სიტყვები - ,,მიეცით ნიჭსა გზა ფართო“.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი ქრონოლოგიურად არ მიჰყვება დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მაგრამ ეს ისე ოსტატურად და ბუნებრივად არის გაკეთებული, რომ მკითხველი ამას ვერ გრძნობს, ყურადღებას არ აქცევს. წიგნის ბოლოს თითქოს ყველაფერი თანმიმდევრულად ლაგდება და მთლიანობაში აღიქმება.

გვექნება მცირეოდენი შენიშვნები, რაც უმთავრესად კორექტურას ეხება. არის რამდენიმე ფაქტობრივი ლაფსუსიც, მაგრამ ეს სრულებით ვერ ახდენს რაიმე გავლენას წიგნის საერთო ღირებულებაზე.

ვფიქრობთ, მკითხველი საზოგადოება ინტერესით შეხვდება მ. მთვარელიძის ახალ წიგნს - ,,კაცი ხასიათისა- დიმიტრი ყიფიანი“.

თამაზ ლაცაბიძე

- სიახლე -

მიმდინარე წლიდან, სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა განათლებას მთლიანად მერია დააფინანსებს

ახალი 2021 წელი მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანებამ. იანვრიდან, ხაშურის სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა დაფინანსებას, შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, სრულად განახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები მუსიკალური ექვსწლედის დასრულებას უფასოდ შეძლებენ.

- ძალიან ამაყი, ბედნიერი, გახარებული და დაფასებული ვართ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადადგა უდიდესი ნაბიჯი. სამუსიკო სკოლების მოსწავლეთათვის სწავლაუფასოიქნება. იანვრიდან არანაირი გადასახადი აღარ არის, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით. ხაშურის სამუსიკო სკოლაში მოგვარებულია საყოფაცხოვრებო პირობები, გარემონტებულია შენობა, საკლასო ოთახები, გვაქვს ორი არაჩვეულებრივი დარბაზი, პირველ სართულზე საგუნდო დარბაზი და მეორე სართულზე საკონცერტო დარბაზი, რის გამოც მადლობას ვუხდი ხაშურის მერიას და მერიის კულტურის სამსახურს,- ინტერვიუს დროს აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების- სამუსიკო სკოლების გაერთიანების მმართველმა, ქალბატონმა ლილი რუხაძემ და იქვე დასძინა, რომ - „ჩვენ ყოველთვის გვქონდა ხელშეწყობა. ზოგადად, სახელოვნებო სკოლებისათვის საქართველოში სახელფასო განაკვეთი დაბალია, მაგრამ რაც კი შეიძლებოდა, როგორც კი შეიძლებოდა, ჩვენ ყოველთვის გვექცეოდა ყურადღება. გასულ წლებში, გვქონდა პროგრამა სოციალურად დუცველი ოჯახების შვილებისათვის, რომლის ფარგლებშიც სამუსიკო სკოლის მოსწავლეები სწავლის საფასურის გადახდისას სარგებლობდნენ 70 პროცენტიანი შეღავათით. დაწესებულმა შეღავათმა, იმ დროს, მოსახლეობას ამოსუნთქვის საშუალება მისცა. შეჭირვებული ოჯახიდან ნიჭიერ ბავშვს მიეცა ასპარეზი, რომ შემოქმედებითი უნარები გამოევლინა. ამ ეტაპზე თანადაფინანსების პროგრამა აღარ მოქმედებს, რადგან მთლიანად გადავედით უფასო სწავლებაზე.

- ქალბატონო ლალი, სამუსიკო სკოლების როგორი სტრუქტურა ჩამოყალიბდა ხაშურში?

- 2017 წელს განხორციელდა სამუსიკო სკოლების გაერთიანება. გაერთიანებაში შევიდნენ ხაშურის, სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები. აქვე ფუნქციონირებს შალვა მშველიძის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სასწავლებელი, (ხელმძღვანელები მიშა ჯავაიშვილი და გიორგი შუბითიძე) და სიმებიანი კვარტეტი ფატი სადაღაშვილის ხელმძღვანელობით. სამუსიკო სკოლაში ორი განყოფილებაა: საფორტეპიანო და საორკესტრო. საორკესტროზე მცირე რაოდენობაა ბავშვებისაც და პედაგოგებისაც. ქვიშხეთში კი მხოლოდ საფორტეპიანო განყოფილებაა.

ადმინისტრაცია განთავსებულია ხაშურის სამუსიკო სკოლაში. სახელოვნებო დაწესებულებების მთლიანი კონტიგენტი მოიცავს 465 მოსწავლეს. მიუხედავად პანდემიისა, მსურველები მრავლად არიან, ახალ სასწავლო წელს ჩვენთან მოსწავლეთა მიღება კვლავ განხორციელდა. ხაშურის სამუსიკო სკოლა 311 მოსწავლეს მოიცავს, სურამი - 71, ქვიშხეთი კი - 83 მოსწავლეს. რაც შეეხება პოედაგოგებს, ხაშურის სამუსიკო სკოლაში 34 პედაგოგია და დანარჩენ სტრუქურებში გადანაწილებულია 74 თანამშრომელი ადმინისტრაციის ჩათვლით.

- რამდენადაც ცნობილია, სკოლას აქვს ინსტრუმენტის პრობლემა...

- სულიერებას ძალიან დიდი ძალა აქვს ადამიანში. ბავშვი, რომელიც დაუკრავს, ბავშვი რომელიც დაკავდება ხელოვნების ამ დარგით, ის ადვილად არ გახდება მოძალადე. ჩვენი მოსწავლეები ამით გამოირჩევიან. იმიტომ, რომ უყვართ ხელოვნება, მოდიან სურვილით, ისწავლონ ისეთ პედაგოგებთან, როგორიც არიან ქალბატონი ლიანა ტატიშვილი, ფატი სადაღაშვილი... ეს ყველაფერი აქ არის, ამ კერაშია და ვფიქრობ, თანადგომც აქედან გამომდინარეა, რომ სახლოვნებო სკოლამ, მოსწავლეებმა, პედაგოგებმა დაიმსახურეს და ასეთი დაფასებულები გავხდით დღეს. ზოგადად, სახელოვნებო სკოლებში ნაკლებობაა ინსტრუნეტის, მათი თვითღირებულებიდან გამომდინარე. არსებული მოძველდა. ბოლო დროს გვქონდა შეპირება ხაშურის მერის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი ზვიადისაგან და გვაქვს იმედი, რომ უახლოეს მომავალში გვექნება საკონცერტო როიალი. საკონცერტო დარბაზის ფორმატი ზოგადად ითხოვს ორ ინსტრუმენტს. ორ ხელში უნდა შესრულდეს ნაწარმოები კონცერტის, კონკურსის დროს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დარბაზში იყოს როიალი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ხარისხიანი მუსიკის მოსმენა და შესრულება, რათა ამავე დროს, შესაძლებელი იყოს ორკესტრთან ერთადაც შესრულება, რომ ვუმასპინძლოთ კონკურსებსაც.

- როგორ გააგრძელა სკოლამ სასწავლო პროცესი პანდემიის პირობებში?

- პანდემიამ ძალიან დაატყო ხელი ჩვენს მუშაობას. სწავლა გაგრძელდა დისტანციურად. მაგრამ პროცესი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მიუხედავად დიდი სურვილისა და არსებული ტრადიციებისა, ვერ ტარდება სრულფასოვანი პრაქტიკული მეცადინეობები. არ აქვს სისიტემატიური ხასიათი. ძირითადად თეორიული გაკვეთილები მიმდინარეობს.

- ქალბატონო ლალი, პანდემიამდე სამუსიკო სკოლა აქტიუარდ იყო ჩართული რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში.

თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ვიცი, პანდემიის პირობებშიც გაქვთ წარმატებები...

- დიახ, პანდემიამდე 2019 წელი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღინიშნებოდა აქტიური მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებებში, სადაც მოსწავლეები და პედაგოგები წარმატებული მონაწილეობისათვის საჩუქრდებოდნენ სხვადასხვა ჯილდოებით. კვარტეტი და სამუსიკო სკოლა მონაწილეობას იღებდა საქალაქო ღონისძიებებში და ატარებდა კონცერტ-ლექციებს საჯარო სკოლებში. პანდემიის პირობებში კი გაიმართა ბავშვთა და ახალგაზრდების მე-10 საერთაშორისო ონლაინ კონკურს-ფესტივალი "ჩრდილოეთის ცისარტყელა - 2020", რომელიც ჩატარდა ისრაელში, ქალაქ ცფატში, 2020 წლის 17 დეკემბერს. ფესტივალ-კონკურსის მუსიკალური დირექტორი გახლდათ მიქაელ გაისინსკი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის მოსწავლემ თეკლა კაპანაძემ პედაგოგ ფატი სადაღაშვილის ხელმძღვანელობით და პირველი ადგილი დაიმსახურა.

მდიდარი ტრადიციების მქონე სამუსიკო სკოლების გაერთიანება, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სასიამოვნო სიახლის შემდეგ, იმედია, კიდევ მეტი წარმატებებით გაამდიდრებს საკუთარ და ქალაქის ისტორიას.

თ. ახალკაცი

D ავთანდილ ხაჩიძის ხსოვნას

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება სიკეთეს თესავენ და მათი ღვაწლი დიდხანს რჩება შემდეგი თაობის ხსოვნაში. სწორედ ასეთი იყო ჩვენი კოლეგა და ღირსეული პიროვნება ავთანდილ ხაჩიძე, რომელიც ოთხი ათეული წელი ეწეოდა გზების მშენებლობას. და თუ დღეს, ჩვენს მუნიციპალიტეტში (და არა მარტო), გზების გამართული ინფრასტრუქტურაა, ამაში მისი დიდი დამსახურებაცაა. უბრალო მუშით დაიწყო კარიერა და მთავარი ინჟინრის პოსტამდე ავიდა. საქმის უბადლო მცოდნეს და უდიდესი გამოცდილების მქონეს, ხშირად აკითხავდნენ კოლეგები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და მის პროფესიულ რჩევებს ისმენდნენ. მის გვერდით ყოფნა ერთი სიამოვნება და სიხარული იყო. მთელი ცხოვრება მართალი გზით იარა და სიცოცხლის ბოლომდე ასეთად დარჩა. იყო საუკეთესო მეუღლე, მამა და მეგობარი, სწორედ ისეთი ,მთელ ქალაქს რომ აკლდებიან და შემდეგ უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით იხსენებენ.

ორმოცი დღე გავიდა მისი წასვლიდან. დღეს უკვე მისი ლამაზი სული ზეციურ საქართველოშია. ჩვენ კი, მისი კოლეგები და მეგობრები კელაპტარს ვანთებთ და შევთხოვთ უფალს, რომ ეს კელაპტარი მუდამ ჩაუქრობელი იყოს იმ დიდ წალკოტში, რომელსაც ღმერთის საუფლო ჰქვია.

შპს „მაგისტრალის" თანამშრომლები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.